პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 289 (13981) | ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

# ДИДИ ბელადის ძეგლი

მოსკოვში, ილიჩის სახელობის ქარხნის წინ სკვერში გაიხსნა რევოლუციის დიდი ბელადის ძეგლი. ძეგლის ავტორია სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი ვ. თოფურიძე. ლენინის ხუთმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა შესანიშნავად ეხამება რეკონსტრუირებული მოედნის ანსამბლს. ეს მოქანდაკის ბიძაშვილის, მოსკოვში მომუშავე არქიტექტორ კ. თოფურიძის დამსახურებაა. მოსკოვის მეგობრა გაზეთმა მიუძღვნა რეცენზია ამ ძეგლს. აი რას წერს გაზეთი „მოსკოვსკი სუდოვინია“:

„მოქანდაკე ვალენტინ თოფურიძემ, რომელმაც საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის სახე შექმნა, გადმოგვცა მისი ყველაზე დამახასიათებელი თვისებები — სისადავე და ადამიანურობა, სიდიადე და კეთილშობილება, მამაცობა და სიმტკიცე. ავტორმა გამონახა ის ფორმა, რომელიც ცხადად წარმოგვიდგენს ლენინს რევოლუციის პირველ წლებში“.

საქდესის კორესპონდენტთან ა. დადიანთან საუბრის დროს მოქანდაკე ვ. თოფურიძემ უამბო მას თავისი მუშაობის შესახებ. მონუმენტური ხელოვნების ყოველი ოსტატის სახუკვარი ოცნებაა დიდებული სკულპტურული ძეგლით განასახიეროს ლენინის სახე, თქვა მან. ამიტომ, როცა მოსკოვში გამოაცხადეს კონკურსი ლენინის გორაზე ილიჩის ძეგლისათვია, შემოქმედებითმა მღელვარებამ შეძიპყრო და მომინდა შემექმნა ბელადის დამაჯერებელი სახე.

წინადადება მომცეს მონაწილეობა მიმეღო დახურულ კონკურსში, რომელზეც მოიწვიეს თვალსაჩინო ოსტატები მ. მანიზერი, ნ. ტომსკი, ა. კრბალნიკოვი, მ. ანიკუშკინი, ი. მიკენასი და სხვები. კონკურსზე წარდგენილი იყო 140 პროექტი. 250 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა საკონკურსო ნაშრომების გამოფენა. საბჭოთა ადამიანები დიდი ინტერეაით ადევნებდნენ თვალყურს ხელოვნების ოსტატთა მუშაობას საყვარელი ბელადის ხატის ეკვდაყოფისათვის. მე და არქიტექტორ ა. ვლასოვს უსაზღვროდ გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ დახურული კონკურსის ჟიურიმ ჩვენი ნამუშევარი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნია და გადაწყვიტა ეს ძეგლი დაედგა ილიჩის სახელობის ქარხნის მოედანზე. ამ ქარხანას კი დიდი რევოლუციური ტრადიციები აქვს.

მრავალი თვის მანძილზე ვმუშაობდი ქარხნის ახალ კორპუსის უზარმაზარ საამქროში. მუშებმა თავისიანივით მიმიღეს. ეს იყო დაუვიწყარი დღეები. ჩვენთან მოდიოდნენ სულ ახალგაზრდა მუშები და ჭაღარა ვეტერანები. მათ შორის იყვნენ პენსიონერები პ. მ. ბიკოვი და ნ. ი. ივანოვი, რომლებიც მონაწილეობდნენ 1918 წლის 30 აგვისტოს მიტინგში. ისინი ხშირად მიამბობდნენ წარსულ ამბებს.

ჩვენ უნდა გვეძებნა ახალი შემოქმედებითი ხერხები, რათა მაქსიმალურად მაგვახლოებინა სახე მაყურებლისთვის. ამ მიზნით მოვაწყეთ ასეთი ექსპერიმენტი: „მოსფილმის“ კინოსტუდიაში სურათს ვუღებდით მსახიობს, რომელსაც ლენინის გრიმი ჰქონდა, მოძრაობის დროს, სხვადასხვა რაკურსით, ვცვლიდით განათებას და ვიყენებდით მძლავრ ვენტილატორებს ეფექტიანი ქარის შესაქმნელად. მრავალგზის ვნახეთ დოკუმენტური კინოფილმები ბელადზე. ყოველივე ამის შედეგად მივაგენით ყველაზე გამომსახველ და დინამიკურ გადაწყვეტას.

ბურამ ახლა ეს უკვე უანგარო ამბავია, — ხანგრძლივი და დაძაბული შრომა, შემოქმედებითი ძიება. ღიდი კმაყოფილების გრძნობას მანაჭებს იმის შეგნება, რომ ეს საუკეთესოა, რაც ჩემს ცხოვრებაში შემიქმნია.

(საქდესი).

• • •

**სურათზე:** ვ. ი. ლენინის ძეგლი მოსკოვში ილიჩის სახელობის ქარხანაში.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულითადი მაღლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, პარტიის ვეტერანებს, ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის აქტიურ მონაწილეებს, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას, ყველა მშრომელს მხურვალე მილოცვებისათვის, მისალმებისა და შრომითი პატაკებისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოუგზავნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ყოველი კუთხიდან გამოგზავნილი დეპეშები, წერილები, მისალმებანი და მილოცვები გამსჭვალულია დიდი სიამაყის გრძნობით იმ გრანდიოზული წარმატებებისათვის, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას, სოციალიზმის ქვეყნების, მთელი დემოკრატიული ძალების შეკავშირების განმტკიცებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხების ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

იტყობინებიან რა შესანიშნავი წარმატებების შესახებ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის შრომითი საჩუქრების შესახებ, მუშები და კოლმეურნეები, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი გამოხატავენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, გაშალონ ფართო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მშრომელებს, ყველა საბჭოთა ადამიანს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი** | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

# იკისრე, შეასრულე კიდეც!

თავისი გიგანტური მასვლელობის ფინიშს უახლოვდება საიუბილეო წელი, რომელიც მნიშვნელოვან ეტაპად შევა ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში, მუშათა და კოლმეურნეგლეხობის, სახელოვანი საბჭოთა ინტელიგენციის ინიციატივა და შემართებული შრომა შეუნელებელ სტიმულს აძლევს ხალხის შემოქმედების მძლავრ ნაკადს, ხელს უწყობს დამატებითი რეზერვების გამოვლინებასა და ხუთწლედის სამსახურში ჩაყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, რომ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა დროშით ახალი წარმატებანი მოიპოვონ კომუნისტურ მშენებლობაში.

და აი როცა ხუთწლედის მეორე საბეურნეო წლის რამდენიმე კალენდარული დღე დარჩა, ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში შედის ბრძოლა საბეურნეო წლის წარმატებთ დამთავრებისათვის, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. უკვე მკაფიოდ გამოვლინდა თვითეული კოლექტივის წარმატებანი და ნაკლოვანებანი.

აღსანიშნავია, რომ გასული 11 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალებანი რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა, რის შედეგადაც მიღებულია ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. განვლილ პერიოდში დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს ყვრების მრეწველობის, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროთა, ჩარხსამშენებლო და საიარაღო მრეწველობის საკავშირო სამინისტროსადმი დაკვეთმდებარებულ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ჩვენი ფაბრიკების, ქარხნების, ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობაში ყველფერი რიგზეა, ამოწურულია საწარმოო რეზერვები. სამწუხაროდ, წარმატებათა გვერდით რესპუბლიკის მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეძლეს დაეძლიათ თერმეტი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ აღნიშნულ პერიოდში გეგმა მხოლოდ 98 პროცენტით შეასრულა. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს 38 საწარმოდან 11 თვის გეგმის შესრულებაში ჩავარდნა აქვს 15 საწარმოს, რითაც სამშობლოს დააკლეს 1 მილიონ 559 ათასი მანეთის პროდუქცია.

სახელმწიფო გეგმების შესრულებაში ჩამორჩებიან თბილისის საფეიერო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომსომოლკა“ (დირექტორი მ. ნიშნიანიძე), თბილისის კამვოლური ხარაგი ფაბრიკა (დირექტორი ე. თავაძე) და სამრეწველო ბამბსაგრები ფაბრიკა (დირექტორი პ. ჯანელიძე) და სხვ.

ხამწუხაროა, რომ ჩვენი ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს — თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივს, რომელიც რესპუბლიკაში არაერთი მნიშვნელოვანი წარმოწყების ინიციატორად გამოსულა, ვერ ვხედავთ მოწინავეთა რიგებში.

აღნიშნული და ბევრი სხვა საწარმოს ხელმძღვანელებმა, პარტიულმა, სამეურნეო და პროფკავშირულმა აქტივმა სერიოზული დასკვნები უნდა გაიკეთონ, რათა არ დაუშვან სახელმწიფო წლიური გეგმის შეუსრულებლობა.

სახელმწიფო გეგმის შესრულება — ეს ყველასათვის კანონია!

ცოტა როდია შემთხვევა, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელები არსებულ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად, სწორი მეცნიერული ანალიზის გაუკეთებლად, „კომპანიურობისათვის“ კისრულობენ გაზრდილ საწარმოო ვალდებულებებს, ეხმიბიან სოციალისტურ შეჯიბრებაში. ასეთი „ვალდებულებანი“ თავიდანვე განწირულია. ასეთ ხელმძღვანელებს ავიწყდებათ, რომ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება საშუალო ადგილზე წყდება.

სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო და პროფკავშირულ აქტივთან ერთად გულდასმით ამოწმებენ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის მსვლელობას — ამოწმებენ არა „საერთოდ“, არამედ ყოველდღე, ყოველ კვირასა და თვეში.

ამ მხრივ უდავოდ მისაბაძია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივის მეცადინეობა (დირექტორი მ. ბაბუნაშვილი), უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში თბილისელმა ფეიერებმა, რომლებიც მიმდინარე წლის დასაწყისიდანვე წარმატებით დაეუფლნენ მრეწველობის დაგეგმვის, მართვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემას, საგალითო შედეგს მიაღწიეს. აქ დამზადებული ქსოვილები არა თუ აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებას, არამედ მრავალი მათგანის დამზადება ხდება მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტის დონეზე. ბუნებრივია, ასეთ პროდუქციას მომხმარებელი გვერდს ვერ აუვლის, და აი შედეგიც: მარტო წელს 11 თვეში კომბინატელებმა 284 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღეს.

რაშია ამ წარმატებათა საიდუმლოება? — შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ბრძოლა ტექნიკური პარკის სრულყოფისათვის, მუშახელის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება, წარმოების ეკონომიური ანალიზი. უკვე ორი წელიწადია, რაც კომბინატში ადმინისტრაციის უშუალო ხელმძღვანელობით ყოველ ხუთ დღეში ერთხელ განიხილავენ ნატურალური პროდუქციის გეგმების შესრულების მსვლელობას, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერებას, მანქანა-დანადგარების წარმადობის და მოცდენების გამომწვევ მიზეზებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს. წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ აქ ყოველ დეკადაში ამოწმებენ ნედლეულის ხარჯვის ნორმების დაცვას, რითაც თავიდანვე კონტროლის ქვეშ არის საწარმოს რენტაბელობა. თვის ბოლოს წარმოების (მატყლის პირველადი დამუშავება, დართვა, ქსოვა, სამღებრო გამოყენება, მატყლის რეცხვა) ხელმძღვანელთა სამეურნეო ანგარიშის შემდეგ მიღებული სურათით მსჯელობენ კომბინატის უახლოეს ამოცანებზე, როგორც წესი ყოველკვარტალურად დირექციის გაფართოებულ სხდომაზე განიხილავენ საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, სადაც განსაკუთრებული უურადღება ეთმობა ძირითადი ფონდებისა და საბრუნავ საშუალებათა ეფექტურ გამოყენებას, წარმოების ამ მიმოქცევის სფეროში ბრუნვადობის დაჩქარებასა და თვითეული დახარჯული მანეთიდან ამონაგების გადიდებას; ასევე უურადღებას ეძღვნება სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისა და სხვა შესატანების გეგმების შესრულება. ცხოვრება წარმოშობს სხვა საუურადღებო წამოწყებებსაც, და მეტად საჭიროა, რომ ეს გამოცდილება ფართოდ გამოიყენონ სხვა საწარმოებმაც.

სახელმწიფო დისციპლინის განუხრელად დაცვა, გეგმის შესრულება კანონია! ამისათვის ბრძოლა იწყება სამეურნეო წლის პირველი დღიდანვე უშუალოდ დაზგასთან, საამქროში. თვითეული საწარმოს დირექტორი, საამქროს უფროსი, ოსტატი ვალდებულია დაკვალების ზუსტად და დროულად შესრულებისათვის გაიკეთოს ის, რაც მასზეა დამოკიდებული. საჭიროა ყოველმა მშრომელმა კარგად დაინახოს, გამონახოს საკუთარი როლი და ადგილი ამოცანათა გადაჭრაში მონაწილეობისათვის, აღიზარდოს სამშობლოს, პარტიისა და კოლექტივის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით!

## მოლაპარაკება კრემლში

11 დეკემბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა ხელმძღვანელებისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და ძალთა მრბოლის დელეგაციის მოლაპარაკება. საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი და სხვები.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილი შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ერიხ ჰონეკერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი გერჰარდ გრიუნბერგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიუნტერ მიტაგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვერნერ იაროვინსკი და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელიც ძმური მეგობრობისა და სრული ერთობის ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ პრობლემებზე. (საკდესი).

# ხუთწლედი—ვადამდე!

## სამეურნეო ანგარიში და მოგავლის გეგმები

### • მშრომელთა აქტივის ერთ კრებაზე •

იწურება საიუბილეო წლის უკანასკნელი თვის პირველი ნახევარი. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები: წლიური გეგმების შესრულების ზღვარს მიუახლოვდნენ. მრავალ მათგანს წლიური გეგმა ნაკისრი ვალდებულებით სწორედ ამ პერიოდისათვის უნდა შეესრულებინა.

ყველგან დაიწყო მიმდინარე წლის სამეურნეო ანგარიშისათვის, მომავლისათვის მზადება. რესპუბლიკის საწარმოები, კოლმეურნეობები ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ მოწოდებას და ჩაებნენ ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში. ხუთწლედი — ვადამდე! აი რა გახდა მათი მუშაობის დევიზი.

ახალი სოციალისტური შეჯიბრების ფერხულში ლენინის რაიონის მრავალი საწარმოც ჩაება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რაიონის ცალკეულ საწარმოთა ვალდებულებები ქვეყნდებოდა ჩვენს გაზეთში, იგრძნობოდა, რომ რაიონის მშრომელებში იწყებოდა მომავლისათვის ზრუნვის ახალი საერთო მოძრაობა. ამჟამად ეს უკვე ნათელია და ამაში დაგვეთანხმება ყველა, ვინც დაესწრო გუშინ პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას, რომელზეც თავი მოიყარეს ამ სამრეწველო რაიონის მშრომელებმა, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონდან მოსულმა სტუმრებმა.

რა იყო ლენინის სახელობის რაიონის მშრომელთა აქტივის მსჯელობის საგანი?

საიუბილეო წლის ანგარიშთან ერთად მშრომელებმა ახალი წლის მიჯნაზე აიღეს ახალი ვალდებულებები — ვადამდე შეასრულონ მომავალი წლის დავალება, ხუთწლიანი გეგმა და ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მოხსენებება საიუბილეო წელს რაიონის სარეწველო საწარმოებში, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციებში ჩატარებული მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ს. თოხაძემ.

რა წარმატებები მოიპოვეს ლენინის რაიონის მშრომელებმა საიუბილეო წელს?

საწარმოების, ტრანსპორტისა და სამშენებლო ორგანიზაციების სასახელო შრომაზე მეტყველებს საიუბილეო სამახსოვრო დროშების ნაკადი, ლენინის რაიონის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა რომ მიიღეს. საკავშირო სამახსოვრო დროშებით დაჯილდოვდა რაიონის 2 საწარმო, რესპუბლიკური სამახსოვრო დროშებით — 9; აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკური სამახსოვრო დროშა გადაეცა მთელ რაიონსაც.

ამ შაბალ ჯილდოებს ამშვენებს რაიონის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებები. მრავალმა საწარმომ პირნათლად შეასრულა საიუბილეო წლის სოციალისტური ვალდებულებები. სამშობლომ ეგეგმის ზევით მიიღო 221 ტონა ფოლადის სხმული, 40 უნივერსალური მრგვალად სახები ჩარხი, 9 ათასი ცალი ელექტროგამშვები, 349 ტონა ლეიონი, 76 კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქცია, 230 ათასი ცალი ტრიკოტაჟის ნაწარმი, 600 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სამკერვალო და სპორტული საკონელი, 240 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი, 40.000-მდე დეკალიტრი კონიაკი, ღვინო და სხვ. მარტო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია მილიონ 600 ათასი მანეთის ეკონომია.

რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს საიუბილეო წლის 11 თვის გეგმებიც. საერთო პროდუქციის გეგმა განადღებულია 100,4 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა 101,1 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 3 მილიონი მანეთის პროდუქცია. არის ყველა მონაცემები იმისათვის, რომ ხუთწლედის მეორე წლის გეგმა 21 დეკემბრისათვის შესრულდეს, ვალდებულება კი 25 დეკემბერს ითვალისწინებს.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ამ სასახელო წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა რაიონის მრავალმა საწარმომ. მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი: ჩაის გადამწყონმა ფაბრიკამ, ქარხანა „ელექტროგამშვებმა“, „გაზოაპარატმა“, ვ. ი. ლენინის სახელობის ავტომობილის შუშის ქარხანამ, სამტრესტის ღვინის № 8 ქარხანამ და სხვ. მაღალი ხარისხის პროდუქცია გაუგზავნეს ჩვენს სახალხო მეურნეობას კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო, „პლასტმასის“, № 1 ავტოშემკეთებელმა ქარხნებმა, სარკოვ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა და სხვ.

საწარმოთა ეკონომიური პროგრესისათვის მზადება რაიონის ფაბრიკა-ქარხნებმა დიდიხანია დაიწყეს. ამჟამად რაიონის 11 სამრეწველო საწარმო მუშაობს დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სისტემაზე. მრეწველობის მართვის დარგობრივ პრინციპებზე გადასვლამ, დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვამ, აგრეთვე იმან, რომ გაუმჯობესდა პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა, საშუალება მისცა რაიონის მრეწველობას სრულად გამოვლინებინა შიდარეზერვები.

მაგრამ მარტო მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან ლენინის რაიონის მშრომელები. აქტივის კრებაზე ერთსულოვნად გამოითქვა აზრი, რომ საქმით უპასუხონ სკკპ სექტემბრის (1967 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებს და ჩაებან ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ საკავშირო შეჯიბრებაში. ლენინის რაიონის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკებმა ამისათვის იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

ხუთწლედის გეგმა შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის. მრავალი მუშა, ბრიგადა, კოლექტივი, ცვლა, საამქრო ხუთწლედის გეგმის შესრულებას ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის კისრულობს. 1968 წლის გეგმა შესრულებული იქნება 28 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე საბოლოო გეგმის გადამეტებით მიიღებს 5 მილიონი მანეთის პროდუქციას.

ახალი ვალდებულებებით ლენინის რაიონის საწარმოები 1968 წლს გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ: 10 ცალ ლითონდამამუშავებელ ჩარხს, 800 ტონა თუჯსა და ფოლადის სხვულს, 800 ცალ მაგნიტურ ელექტროგამშვებს, 100 ათას ცალ საბრიკოტაჟო და 800 ათასი მანეთის სამკერვალო ნაწარმს და ა. შ.

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 4 პროცენტით გაიზრდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით გეგმის გადამეტებით მიღებული იქნება ერთ მილიონ 700 ათასი მანეთის ეკონომია.

წარმოებებში დაინერგება 10 ავტომატური, ნაკადურ-მექანიზებული და კონვეიერული ხაზი, დაიდგმება 80 ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხი და მოწყობილობა. რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებების დანერგვით მიიღებენ 700 ათას მანეთი პირობითს ეკონომიას.

რა მეთოდებით აპირებენ რაიონის მშრომელები ასეთი მაღალი მაჩვენებლების მიღწევას?

პირველ რიგში ვარაუდობენ მთლიანად გამოიყენონ ეკონომიური რეფორმის მიერ საწარმოთა წინაშე გადაშლილი უკელა შესაძლებლობა სამეურნეო ანგარიშგება, მატერიალური წახალისების სისტემა, წამახალისებელი ფონდების გეგმაზომიერი გამოყენება და ა. შ.; მეორე: განახორციელონ ტექნიკური პროგრესი, შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დანერგონ მოწინავე ტექნოლოგია. ამასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცევა ყველა მნიშვნელოვან რაციონალურ წინადადებასა და გამოგონებას. რაიონის პარტიული კომიტეტის ზრუნვის საგანი იქნება თვითეულ საწარმოს, საამქროს, ბრიგადას, ცვლას შორის შეჯიბრების წარმართვა და ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

რაიონის აქტივის კრებაზე, რომელიც შეჯამა პარტიის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. აბუთიძემ, ერთხმად მოწონებულ იქნა ახალი ვალდებულებები და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის მშრომელები.

**რ. ჭელიძე.**

ეს მოღიმარი გოგონა **ლეილა ვიბლიანია**, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოწინავე მქსოველი. იგი წინასაახალწლო შრომითს ვახტზე დგას და სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ დავალებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# სამეურნეო ანგარიში და მოგავლის გეგმები

### • მშრომელთა აქტივის ერთ კრებაზე •

## რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მომავალი ვიზიტის გამო

**სკკპ ცენტრალური** კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 14 დეკემბერს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოდის რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ჩაუშესკუს მეთაურობით.

## 1967 წლის პოეზიის დღე

**გამოცემლობა** „სოვეტსკი პისატელმა“ გამოუშვა კრებული „პოეზიის დღე“, რომელიც ტრადიციული გახდა. ეს ტომი ეძღვნება ოქტომბრის იუბილეს და საბჭოთა პოეზიის რეტროსპექტივაა. რომელიც მკაფიოდ ასახავს ნახევარი საუკუნის უმნიშვნელოვანეს ამბებს. აქ დაბეჭდილია ვ. ლუგოვსკოის პოემის „ოქტომბრის“ ნაწყვეტი, ვ. ინბერის „ლენინი“, ა. ბეზიმენსკის მოთხრობა „უჩვეულო მოგზაურობა 1919 წელში და უკან“, ნ. რილენკოვის, ნ. ტიხონოვისა, ვ. კატაევის ლექსები.

სანტერესოა განყოფილება „მრგვალი მაგიდა“ — აქ პოეტები და კრიტიკოსები ამოქმედენ ისეთ დიდნმნშვნელოვან თემას, როგორიცაა დღევანდელი პოეზიის მოქალაქეობრივობა, მკითხველისთვის ალმორჩენა იქნება ჯონ რიდი, როგორც პოეტი. (საკდესის კორ.).

## ძმაღნაფიცი ქალაქების მეგობრობა

**ვორონეჟი.** (საკდესის კორ.). ძმადნაფიცმა ქალაქებმა ვორონეჟმა და ბრნომ შეთანხმება დადეს მეგობრობის შესახებ. დღეს ამ შეთანხმების ხელი მოაწერეს ვორონეჟის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ვ. პოსპეეევმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საბჭრეთ მორავეთის ოლქის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ქალაქ ბრნოს ერთიანი სოციალისტური პარტიის კომიტეტის თავმჯდომარემ ოლდრიხ ვავერკამ.

შეთანხმება ითვალისწინებს ორი ოლქის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას, თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიკის, საზოგადოებრივი, კულტურული და სპორტული ცხოვრების დარგში.

## სწრაფი რეაქტორების დიდი მომავალი

**ობნინსკი** (კალუგის ოლქი), 11 დეკემბერი. (საკდესის კორ.), ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც დღეს გაიხსნა ობნინსკში, იხილავენ სწრაფი ნეიტრონებით მოქმედი რეაქტორიანი ატომური ელექტროსადგურების განვითარების პრობლემებს.

სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მ. პეტროსიანცმა, მიმართა რა სიმპოზიუმის მონაწილეებს, თქვა:

— ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობა ატომური ენერგიის დარგში წარმატებით მიმდინარეობს. „სწრაფი“ რეაქტორების პირველ სიმპოზიუმზე შემოხვევით როდი შეკიერიბეთ ამ ქალაქში. ობნინსკში — მსოფლიოში პირველი

ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ-ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

# სოფელი
# და ტექნიკური პროგრესი

### ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ** სამთო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქვეყანაა. რეპუბლიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთაგორიანია. სამთო მიწათმოქმედება კი წარმოადგენს პრობლემათა რთულ კომპლექსს, სადაც ჯერ კიდევ სრულყოფილად გადაწყვეტილი არ არის ტექნიკურ-ეკონომიური და ორგანიზაციული საკითხები.

სწორედ სამთო მიწათმოქმედების, მემცენარეობისა და მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ავტომატიზაციის მეტად რთულ პრობლემებზე მუშაობს ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის 23 ლაბორატორია და განყოფილება. აქ მეცნიერულ შემოქმედებას ეწევა 5 მეცნიერებათა დოქტორი, 40 მეცნიერებათა კანდიდატი, 45 ინჟინერი, აგრონომი და სხვა მონათესავე დარგების სპეციალისტი.

ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა შედგენილია პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი წლების პლენუმების დადგენილებათა საფუძველზე. მათი შესრულების, ექსპერიმენტების განხორციელების, კვლევითი შედეგების წარმოებაში დანერგვისა და ეკონომიური ეფექტიანობის შესახებ კონკერტულ ფაქტებზე დაყრდნობით ოლპარაკეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის საინგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა ს. რობაქიძემ და მოხსენების ირგვლივ კამათის მონაწილე კომუნისტებმა: ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში პროფესორმა ზ. ხანთაძემ, ლაბორატორიის გამგემ რ. ლომაძემ, ინჟინერმა გ. გურაშვილმა, ინჟინერ-კონსტრუქტორმა ბ. ჭელიძემ და სხვებმა.

ინსტიტუტის კომუნისტები, — თქვა მომხსენებელმა, — ყველა სამეცნიერო თემის შესრულების ავანგარდში დგანან. მათი და მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ წარმატებით შესრულდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი: შეიქმნა და გამოიცადა ფერდობზე მომუშავე თვითმავალი ტრაქტორი ჰიდროსტატიკური ტრანსმისიით, რომელსაც ვაკე ადგილებშიც შეუძლია მუშაობა. საწარმოო პირობებში პრაქტიკულად შემოწმდა ცხვრის სამკურნალო-პროფილაქტიკური ელექტრომექანიზებული მოწყობილობა და მომთაბარე მეცხვარეობისათვის გადასატანი საპარსი პუნქტი, რამაც წარმოების მუშაკთა მოწონება დაიმსახურა. შერჩეული და დადგენილია ვაზის ნამყნობი კომპოსტნაგების ელექტროსტიმულაციის ოპტიმალური დოზები და რეჟიმები, რითაც ვაზის ნამყენის გამოსავლიანობა იზრდება 15 პროცენტით. შეიქმნა სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო საბაგირო წევის იარაღები. იუბილეს დღეებში ვამოიცა ილუსტრირებული ალბომი ინსტიტუტში 10 წლის მანძილზე გაწეულ კვლევითს მუშაობაზე. შედგენილია და ბეჭდვის პროცესშია შრომების ორი კრებული. კომუნისტი პროფესორის შ. კერესელიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა და წარმოებაში ჩინებულად დაინერგა მსოფლიოში პირველი ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა „საქართველო“, ასევე სხვ კავშირის მეცხვარეობის რაიონებში დაინერგა კომუნისტ კ. მესხის ხელმძღვანელობით შექმნილი ცხვრის საპარსი ელექტრომექანიზებული მანქანა „მს-2008“, რომელიც თავისი კონსტრუქციით სჯობს დღემდე მსოფლიოში არსებულ ყველა საპარს ელექტრომანქანებს. აქტიუბინსკის ქარხანამ (ყაზახეთის სსრ) სერიულად გამოუშვა 15 ათასი საპარსი მანქანა, თვითეული მანქანა ყოველი 1.000 ცხვარის გაპარსვისას იძლევა 93 მანეთის ეკონომიას. ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ წლის ბოლომდე, გარდა გარდამავალი თემებისა, წარმატებით იქნას შესრულებული კვლევითი მუშაობის საპრობლემო-თემატური გეგმა.

კრიტიკული და მეტად საჭმიანი იყო ექსპერიმენტული სახელოსნოს გამგის, კომუნისტ ვ. ღოღობერიძის გამოსვლა. მან აღნიშნა: სახელოსნო განიცდის კვალიფიციური მუშების სიმცირეს, სათანადო მასალების და დანადგარების ნაკლებობას. ძალზე აჭიანურებს ახალი სახელოსნოს მშენებლობას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი (ტრესტის მმართველი ვ. ჭურაძე). მშენებლობა ერთი წლის წინათ უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ბოლო არ უჩანს. ის, რაც გაკეთდა (კარები, ფანჯრები), უხარისხოა. ყოველივე ეს ხელს გვიშლის, რომ მეცნიერ მუშაკთა და კონსტრუქტორთა ჩანაფიქრი დროულად განვახორციელოთ.

კრებაზე დიდი საუბარი გაიმართა პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობაზე, პარტიულ კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შედეგიანობაზე, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ახალგაზრდა მომზადებაზე, კომკავშირულ, პროფკავშირულ, ფიზკულტურულ და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე, პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებაზე. ამაზე გაამახვილეს ყურადღება აგრეთვე სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა ო. ფოფხაძემ, დ. კულუმბეგაშვილმა, ვ. შევარდნაძემ და სხვებმა.

ინსტიტუტის კომუნისტებმა პარტბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. დასახეს ქმედითი ღონისძიებანი პარტიული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უკეთ წარმართვისა და მეცნიერების მიღწევების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვისათვის. აირჩიეს ბიუროს ახალი შემადგენლობა.

**დ. ფაილოძე,**

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

## თემატური საღამო

**ᲐᲮᲛᲔᲢᲐ.** (საკ. კორ.). ამას წინათ რაიონის პარტიულმა და სამეურნეო აქტივმა რაიონის კულტურის სახლში თავი მოუყარეს ადამიანებს, რომელთაც თავიანთი სისხლი და ოფლი არ დაუშურებიათ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის. გაიმართა თემატური საღამო — „შეხვედრა წარსულთან“, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბატიაშვილმა.

რევოლუციის ახმეტელ ჯარისკაცთა, შრომის ვეტერანთა საქმიანობაზე ისაუბრა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ თ. ბაინდურაშვილმა. სპპტიო სტუმრებმა ი. გომიაშვილმა, ს. გიორგიშვილმა, გ. ხარიტონაშვილმა, მ. ბაღაკაშვილმა, რ. ნახუცრიშვილმა, ო. აივაზაშვილმა და სხვებმა გულთბილი მადლობა გადაუხადეს რაიონის მშრომელებს მათი ღვაწლის დაფასებისათვის.

## საზოგადოებრივ საწყისებზე

**ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ.** (საკ. კორ.). წყორის პუბრროდუქტების სარეალიზაციო ბაზის კოლექტივი სულ უფრო დიდ ინტერესს იჩენს პოლიტიკური განათლებისადმი. ამიტომაც იყო, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ დირექციის მხარდაჭერით ამ დღეებში აქ პოლიტიკური განათლების კაბინეტი მოაწყო. პოლიტგანათლების კაბინეტის გამგედ საზოგადოებრივ საწყისებზე იმუშავებს კომუნისტი შ. კრაწამველი.

**ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ** დავალებას შევასრულებთ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის. ასეთი ვალდებულება იკისრა ახლახან თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის მწნეწავმა საამქრომ. ამ ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვის დღეს საამქროს მთელი კოლექტივი. თავდადებული შრომის მაგალითს აძლევს თავის თანამოსაქმეებს გამოცდილი მუშა ნოდარ ჩიტაძე, რომელიც დღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო ბ. კეკელიძისა.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ სარედაქციო ფოსტა მეტად მრავალფეროვანია. იგი განსაკუთრებით მდიდარი იყო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში. სიმრავლითა და გულთბადობით, სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა წერილები პარტიის ვეტერანებზე, ოქტომბრისათვის თავდადებულ მებრძოლებზე.

ამ წერილებს წითელ ზოლად გასდევს პარტიის თეზისების უკვდავი სიტყვები: „ᲩᲐᲕᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲦᲐᲛ ᲬᲘᲓᲘᲗᲐ-ᲬᲘᲓᲘᲗ ᲘᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ, ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲡᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲗᲑᲐᲓᲝᲑᲘᲗ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲐᲧᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲖᲝᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲓᲔᲕᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲔᲝᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ: „ᲩᲕᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲦᲐᲛ ᲬᲘᲓᲘᲗᲐ-ᲬᲘᲓᲘᲗ ᲘᲛᲘᲜᲔᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲔᲚᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ, ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ“.

ᲐᲮᲚᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ ᲕᲐᲛᲪᲛᲔᲕᲗ ᲐᲛ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲝᲒᲒᲘᲗᲮᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲒᲘᲗᲮᲠᲔᲑᲘᲗ.

□ □ □

**Კ. ᲨᲘᲙᲘᲪᲘᲜᲘ:** ᲕᲘᲜ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ, ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲝ ᲤᲝᲠᲬᲔᲠᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ-ᲚᲐᲗᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲒᲠᲣᲠᲘᲐᲨᲘ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲘᲪᲐ ᲭᲘᲝᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲐᲨᲘ

# ერთ მწყობრში

## საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საღამო თბილისში

**ყველა საბჭოთა ადამიანთან, ჩეხოსლოვაკიის ხალხთან ერთად, საქართველო აღნიშნავს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების. 24 წლისთავს. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ჩვენი ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში დაემთხვა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურს, რომელიც ახლა მთავრდება.**

**სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად თბილისში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მოაწყეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ.**

**საღამო გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. უვანიამ.**

**მომხსენებელმა, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ა. კელენჯრიძემ ილუსტრაცია იმ შესანიშნავ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ჩეხოსლოვაკიის ცხოვრების ყველა სფეროში. თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრების წლებში, ხაზგასმით აღნიშნა მან, უფრო განვითარდა და განმტკიცდა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ძმური მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან. ამ მეგობრობას საფუძვლად უდევს მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის დიდი ხნის ტრადიციები.**

**საღამოზე ხიტყვები წარმოთქვეს კამეოლ-მაუდის კომბინატის ცვლის უფროსმა თ. გიორგაძემ, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა პროფესორმა რ. აღაბაბიანმა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნ. კირვალიძემ, საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა დ. ლორთქიფანიძემ.**

**დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ იაროსლავ მუსილეკს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს სახელით მხურვალედ მიესალმა ქართველ ხალხს. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები, თქვა მან, ყოველთვის იქნებიან საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრები, ყოველთვის თქვენთან მხარდამხარ ივლიან, მეგობრებო!**

**საღამოს მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკიის საელჩოს სსრ კავშირში, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის სლოვაკეთის კომიტეტს. (საქდესი).**

# საერთაშორისო სხივჯვარა

## კრიზისის ზღვარზე

**ვაშინგტონი.** 12 დეკემბერი. (საქდესი). შეერთებული შტატები აღმოჩნდა „ფინანსური კრიზისის ზღვარზე, რომლის სრული მასშტაბი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. დოლარისადმი ნდობა საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულად შეირყა. გრძელდება ჩვენი ოქროს მარაგის გადინა საზღვარგარეთ. ინფლაცია შვიბნელ რეალობად გადაიქცა. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა შეარყია და დაასუსტა მთავრობამ“. ასეთი განცხადება გააკეთეს კონგრესმენ რესპუბლიკური პარტიის საკოორდინაციო კომიტეტის სესიის მონაწილეებმა. ოპოზიციური პარტიის ამ უმაღლესმა პოლიტიკურმა ორგანომ გამოინგტონში მოაწყო ერთდღიანი სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 1968 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის მზადებას.

## აფრიკელი ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი.** 12 დეკემბერი. (საქდესი). „სამხრეთ აფრიკაში მე მეშინოდა დაპატიმრებისა, ხოლო თქვენს სამხრეთში, როცა სურათებს ვიღებდი, ძალიან მეშინოდა, რომ ლინჩის წესით დამსჯიდნენ“, — განუცხადა ამერიკელ ჟურნალისტებს ახალგაზრდა ზანგმა — მწერალმა და ფოტოგრაფმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ერნსტ კოულმა.

„როცა წამოსვლას ვაპირებდი, გამაფრთხილეს, რომ წავაწყდები დისკრიმინაციას, მაგრამ რეალობა გაცილებით უფრო საშინელი აღმოჩნდა იმაზე, რაც შემეძლო წარმომედგინა“, — ასეთი სიტყვებით გამოხატა კოულმა თავისი შთაბეჭდილება ამერიკის შეერთებულ შტატებში ვითარების გამო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მან საკუთარი თვალით ნახა რასიზმის მძვინვარება. მას ეუბნებოდნენ, რომ ამერიკაში კანის ფერს მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ სინამდვილეში კოულმა ნახა ისეთი დამოკიდებულება ზანგებისადმი, რომელიც „ძალიან მოაგონებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას“.

ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქებში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ე. კოული დაბინავდა ნიუ-იორკის ჰარლემში. „ჰარლემს ჩემში არ გამოუწვევია გაკვირვება, — თქვა მან, — მე ხომ მინახავს ასეთივე ჰარლემები პრეტორიაში, სადაც დავიბადე, და იოჰანესბურგში“.

## ლაინუს პაულინგის გასწორება

**ნიუ-იორკი.** 12 დეკემბერი. (საქდესი). სამოქალაქო უფლებებისათვის ზანგთა ბრძოლის ერთ-ერთი ლიდერი სტოკლი კარმაიკელი გუშინ შეერთებულ შტატებში დაბრუნდა საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოგზაურობიდან. კარმაიკელი იყო კუბაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში. საზღვარგარეთ გამოსვლისას კარმაიკელი გმობდა რასობრივ თვითნებობას აშშ-ში, ამერიკის შეიარაღებულ აგრესიას ვიეტნამის წინააღმდეგ.

ზანგთა პოპულარული ლიდერის გამოსვლებმა გააცოფა ამერიკელი რეაქციონერები, რომლებიც მოითხოვდნენ ჩამოერთმიათ მისთვის საზღვარგარეთის პასპორტი, მიეცათ სასამართლო პასუხისმგებლობაში რუბასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნისათვის, სადაც ამერიკის მოქალაქეებს აკრძალული აქვთ მოგზაურობა.

## ლაინუს პაულინგის ფესვერაციული

**ნიუ-იორკი.** 12 დეკემბერი. (საქდესი). „ინფინსური კრიზისის ზღვარზე, რომლის სრული მასშტაბი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. დოლარისადმი ნდობა საერთაშორისო ასპარეზზე სერიოზულად შეირყა. გრძელდება ჩვენი ოქროს მარაგის გადინა საზღვარგარეთ. ინფლაცია შვიბნელ რეალობად გადაიქცა. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა შეარყია და დაასუსტა მთავრობამ“. ასეთი განცხადება გააკეთეს კონგრესმენ რესპუბლიკური პარტიის საკოორდინაციო კომიტეტის სესიის მონაწილეებმა. ოპოზიციური პარტიის ამ უმაღლესმა პოლიტიკურმა ორგანომ გამინგტონში მოაწყო ერთდღიანი სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 1968 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის მზადებას.

## გენერალურ ასამბლეაზე

**ნიუ-იორკი,** 12 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. რომანცოვი იტყობინება: გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაიწყო საკითხის განხილვა, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შესახებ. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნის ტერიტორია უკანონოდ ოკუპირებული აქვს სამხრეთ აფრიკას.

ერთი წლის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ჩამოართვა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მართვის მანდატი, რომელიც მას ადრე ერთა ლიგამ მიანიჭა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიამ შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაეკისრა ამოცანები შეემუშავებინა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის მართვის პრაქტიკული ღონისძიებანი ამ ტერიტორიისათვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებამდე. შეიქმნა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საბჭო ამ ტერიტორიის სამართავად.

სამხრეთაფრიკელი რასისტები არ ასრულებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს. მათ კვლავ ოკუპირებული აქვთ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ტერიტორია, რომელზეც აგრცელებენ აპარტეიდის რასისტულ პოლიტიკას. რასისტები რეპრესიებს მიმართავენ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის პატრიოტების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

გასული წლის მანძილზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა სპეციალურმა კომიტეტებმა მიიღეს არა ერთი რეზოლუცია, რომელიც გმობს სამხრეთაფრიკელ რასისტებს და შეიცავს მოთხოვნას შეწყვიტ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის უკანონო ოკუპაცია. მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება. სამხრეთაფრიკელ რასისტებს მხარს უჭერენ დასავლეთის სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები, რომლებიც დაინტერესებული არიან აფრიკის კონტინენტზე შეინარჩუნონ კოლონიალიზმის ბაზები და დიდი მოგებანი მიიღონ აფრიკელთა ექსპლოატაციის შედეგად.

გენერალურ ასამბლეაზე სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შესახებ საკითხის ახალი განხილვამ ცხადყო, რომ დასავლეთის ქვეყნების პოზიცია კვლავ უცვლელია. კანადისა და ირლანდიის წარმომადგენლებმა სიტყვით დაგმეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი. მაგრამ მათი წინადადებანი აშკარად მიზნად ისახავდა საკითხის გადაწყვეტის შემდგომ გაჭიანურებას.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მათ დასავლეთელ მფარველთა კონსტრუქციულ კრიტიკას შეიცავდა ასამბლეაზე ნიგეზიის, ეთიოპიისა და უნგრეთის წარმომადგენელთა გამოსვლები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მისი დასავლეთელი მეგობრების პოზიციათა ამომწურავი ანალიზი მოგვცა უნგრეთის წარმომადგენელმა. მან აღნიშნა, რომ სულ უფრო იზრდება იარაღის მიწოდება სამხრეთ-დასავლეთი აფრიკისათვის, რათა მისი ტერიტორია გადაქცეონ დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბაზად აფრიკაში. სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხის ერთად ერთი კონსტრუქციული გადაწყვეტილება იქნებოდა, თქვა უნგრეთის წარმომადგენელმა, მისთვის დაუყოვნებლივ დამოუკიდებლობის მინიჭება.

სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხი, განაგრძო მან, მხოლოდ მაშინ გადაწყდება, როცა სანქციებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეასრულებს უკლებლივ ყველა ქვეყანა. უნდა შეწყდეს ყოველგვარი ვაჭრობა რასისტულ რეჟიმთან, მისთვის იარაღის მიწოდება, გაუქმდეს დიპლომატიური ურთიერთობა. სწორედ ეს უნდა გაიხადოს ძირითად მიზნად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელმა სესიამ, თქვა უნგრეთის წარმომადგენელმა.

## მდგომარეობა იემენში

**კაირო.** 11 დეკემბერი. (საქდესი). „იემენის მდგომარეობა მოწესრიგდა, სანაში სიმშვიდეა, რესპუბლიკური შეიარაღებულ ძალები კონტროლს უწევენ ქვეყნის მდგომარეობას. იემენის ტერიტორიაზე შეტრილი მეამბოხენი და უცხოელი დაქირავებულები ფაქტიურად განადგურებული არიან. ჩაიფუშა ამერიკელთა მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა იემენში გაეჩაღებინა სამოქალაქო ომის ხანძარი“, — ნათქვამია იემენის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, იემენის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ვენერალ ჰასან ალ-ამრის განცხადებაში, რომელიც სანიდან გადასცეს კაიროს გაზეთს „ალ-ახბარს“. იემენის ყველა აეროდრომი ღიაა. გუშინ არ-რაპაბის აეროდრომზე, რომელიც სანიდან 14 კილომეტრზე მდებარეობს, დაეშვა თვითმფრინავი. თვითმფრინავმა იემენში ჩაიყვანა ამერიკელ, ინგლისელ, შვედ და ლიბანელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

გუშინ, აღნიშნავს „ალ-ახბარი“, ჰასან ალ-ამრიმ თათბირი მოაწყო იემენის მხედართმთავრებთან, შეხვდა მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ტომების შეიხებს და მათთან ერთად განიხილა შექმნილი ვითარება.

გუშინ სანის რადიოთი გადაცემული ოფიციალური განცხადების თანახმად, რესპუბლიკური რამა შეიარაღებულმა ძალებმა ტყვედ იგდეს აპმედ ნასრ ას-სიბაგი, რომელიც იემენის მთიანი რაიონის ჯებელის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის მონარქისტთა მეთაურად მიაჩნიათ.

სანა, 11 დეკემბერი. (საკდესი). იემენში კვლავ დაძაბული ვითარებაა. სანაში განსაკუთრებით ღამით (მონარქისტები აქტიურდებიან უმთავრესად ამ დროს) ისმის სროლა.

გაფთრებული ბრძოლები წარმოებს სანის სამხრეთით. მონარქისტები და ამბოხებული ტომები დროდადრო გადაჭრიან ხოლმე სანა-ჰოდეიდისა და სანა-ტაიზის გზებს. რესპუბლიკური ხელისუფალნი სანაა და ტაიზში ადგენენ, უმთავრესად ახალგაზრდობისაგან, სახალხო წინააღმდეგობის რაზმებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ წესრიგი ქალაქში და დაიცვან იგი შემოპარულ მონარქისტთა ჯგუფებისაგან.

სანის რადიოს ცნობით, ჯაუფში (იემენის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები, რომლებიც საუდის არაბეთს ესაზღვრებიან) რესპუბლიკური რეჟიმის ერთგულმა ტომებმა ხელთ იგდეს 28 აგტომანქანა ამერიკული წარმოების საბრძოლო მასალით და იარაღით, რომლებიც საუდის არაბეთიდან იგზავნებოდა.

კაირო, 12 დეკემბერი. (საკდესი). სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა კასტან აშ-შაბიმ გამოსცა დეკრეტი ყველა მიწისა და უძრავი ქონების კონფისკაციის შესახებ, რომლებიც სულთნებსა და მმართველებს ეკუთვნოდათ კოლონიური მართვა-გამგეობის დროს, იუწყება ადენის რადიო.

მთავრობისა და ეროვნული ფრონტის ამ ღონისძიების მიზანი ის არის, აღნიშნულია ცნობაში, რომ ეროვნული სიმდიდრით სარგებლობის საშუალება მიეცეთ ხალხის მასებს და არა ერთ მუჭა ექსპლოატატორებს.

კასტან აშ-შაბიმ გამოსცა აგრეთვე მეორე დეკრეტი სულთნებისა და შილერის არქიპეკციული პოლიტიკა ხელს უწყობს ნეონაციზმის ზრდას და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციების განმტკიცებას. ყველივე ეს, ნათქვამია გერმანიის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, მოითხოვს ახალი პოლიტიკის განხორციელებას დასავლეთ გერმანიაში. „დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა ვიხსნათ, ხელი უნდა შევუშალოთ საგანგებო კანონების მიღებას, ბოლო უნდა მოვუღოთ ნეონაციზმის თარეშს, გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ კვლავ უნდა დაიწყოს ლეგალური საქმიანობა“, — ხაზგასმულია გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

## ანტიფაშისტები მიესალმებიან

**ბონი,** 12 დეკემბერი. (საკდესი). გერმანელები, რომელთაც კარგად ახსოვთ ჰიტლერული ნაცისმის დანაშაულობანი, სულით და გულით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომელიც გვაფრთხილებს მიხაკისფერი საფრთხის აღორძინების წინააღმდეგ, ნათქვამია დასავლეთ გერმანიის პარტიის გერმანელთა მშვიდობის კავშირის დირექტორატის წევრის არნო ბერშის განცხადებაში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის გაეგლენა საშიშრად გაიზარდა იმის შედეგად, რომ ყოფილი ნაცისტები მოხვდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში, სადაც თვალსაჩინო ადგილები უკავიათ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირ-ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წარმომადგენლებს. ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, აღნიშნა ა. ბერშმა, საერთოდ ვერ შეასრულებდა რაიმე როლს, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელები რომ მტკიცედ იცავდნენ კონსტიტუციის პრინციპებს.

## გზა გაძლიერებოთ ნეონაციზმს

**ბერლინი.** 12 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აკრძალულმა გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ თავის განცხადებაში მოუწოდა მთელ დემოკრატიულ ძალებს ყველაფერი იღონონ ნეონაციზმის წინააღმდეგ. ამას იუწყება ადენის საგენტოს კორესპონდენტი დიუსელდორფიდან. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო ხაზს უსვამს, რომ საჭიროა ვიმოქმედოთ ფედერალური მთავრობის რევანშისტული, ანტიკონსტიტუციური პოლიტიკის წინააღმდეგ, თორემ სხვაგვარად ვერ მოისპობა ის ნიადაგი, რომელიც ნეონაციზმს ასაზრდოებს.

დასავლეთ გერმანიის ყველა დემოკრატის შეურაცხყოფად მიიჩნია კომპარტიას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის რევანშისტული, მილიტარისტული და ნეონაციზმის წამქეზებელი პოლიტიკა.

განცხადებაში მოყვანილია მთელი რიგი მაგალითები, რომლებიდანაც ჩანს, რომ ბონი აძლიერებს დემოკრატიული ძალების დევნას და ამავე დროს ხელს უწყობს ნეონაციზმის განვითარებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გერმანიის კომუნისტური პარტია ხაზს უსვამს, რომ სოციალ-დემოკრატ მინისტრთა მონაწილეობა „დიდი კოალიციის მთავრობაში“ ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ-ქრისტიანულ-სოციალურ კავშირთან ერთად, აგრეთვე სოციალ-დემოკრატ მინისტრების ვენერის, ბრანდტისა და შილერის არქიეპეკციული პოლიტიკა ხელს უწყობს ნეონაციზმის ზრდას და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის პოზიციების განმტკიცებას. ყველივე ეს, ნათქვამია გერმანიის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, მოითხოვს ახალი პოლიტიკის განხორციელებას დასავლეთ გერმანიაში. „დემოკრატიული უფლებანი და თავისუფლებანი უნდა ვიხსნათ, ხელი უნდა შევუშალოთ საგანგებო კანონების მიღებას, ბოლო უნდა მოვუღოთ ნეონაციზმის თარეშს, გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ კვლავ უნდა დაიწყოს ლეგალური საქმიანობა“, — ხაზგასმულია გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

## ფაშიზმის თესლი

**რომი,** 12 დეკემბერი. (საკდესი). იტალიის გაზეთ „სტამპაში“ გამოქვეყნებულ რეპორტაჟში ამ გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი დასავლეთ გერმანიაში ენცო ბიაჯი წერს, რომ ნეონაციზტური პარტიის — ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ადოლფ ფონ ტადენი „ეერგულად და თაღლითურად ნერგავს და ავრცელებს იმ თესლს, რომელმაც ერთხელ უკვე მიიყვანა ევროპა კატასტროფამდე“.

ფონ ტადენი, წერს იგი, ახირებული პიროვნება ან რაღაც ორიგინალი როდია. მას ვერ დავსჯით დუმილით და ვერც ირონიით. იგი სარგებლობს არა მარტო იმათი გრძნობებით, ვინც სინანულით იხსენებს წარსულს, არამედ მათი უმეტესობაც. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ტადენის ასი თანამემამულიდან ორმოცი იწონებს მისი თეზისების ნახევარზე მეტს. მან შეძლო ენთუზიაზმი გამოეწვია 30 ათას აქტივისტში, მისი ყოველკვირეული კი თითქმის 300 ათასი ცალი ტირაჟით ვრცელდება. ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიას უკვე ჰყავს წარმომადგენლები ექვს სამხარეო პარლამენტში, და იგი აცხადებს, რომ 1969 წელს მიიღებს 50 ადგილს ბუნდესტაგში, ოთხი წლის შემდეგ კი — მოიპოვებს ძალაუფლებას.

## ემთავროგის მხარდაჭერით...

**ბონი.** 12 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი იუწყება:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა არ აპირებს იხმაროს ღონისძიებანი ნეონაციზტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვისათვის. ეს განაცხადა გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. მისი სიტყვით, მთავრობაში საერთოდ არ დასმულა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვის საკითხი. ამავე დროს მან აღიარა, რომ ბონის კაბინეტის ყველა წევრს ნაციონალ-დემოკრატიული პარტია „ანტიდემოკრატიულ პარტიად“ მიაჩნია.

პრეს-კონფერენციაზე გამოსულმა იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვის პრობლემა „ძნელი საკითხია“. მის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ამტკიცებდა, თითქოს ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის აკრძალვისათვის „ჯერ კიდევ არ არის საკმაო წინამძღვრები და მამხილებელი მასალა“.

ამ მამხილებელ მასალას კი მხოლოდ ბრმები შეიძლება ვერ ხედავდნენ. საკმარისია გავეცნოთ ამას წინათ პანოვერში გამართული ნეონაციზტთა ყრილობის მასალებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ახლანდელი ნაციონალ-დემოკრატები ფაქტიურად ყოფილ ნაციონალ-სოციალისტთა მემდეგრენი არიან. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე აშკარად გაისმოდა ევროპაში არსებული საზღვრების გადაკეთების მოთხოვნა, ცდილობდნენ გამართლებინათ ჰიტლერული ომები, ნეონაციზტური ფიურერები შოვინისტურ და ნაციონალისტურ განწყობილებას აღვივებდნენ.

## ეკონომიკური

### ევროპის ეკონომიკური ლიტერატურა

**ბერლინი.** 12 დეკემბერი (საკდესი). ბონი დაინებებით ეძღვნება თავისი პოლიტიკის — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ოდერ-ნოისეი საზღვრის არცნობის პოლიტიკის წინანდელ პრინციპებს, წერს, როგორც ადენის სააგენტო იუწყება, დასავლეთგერმანული გაზეთი „ფულდაერ ფოლსციტუნგი“ სტატიაში „დიდი კოალიციის“ მთავრობის ხელისუფლების სათავეში ერთი წლის ყოფნის შესახებ.

დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობას, ხაზს უსვამს გაზეთი, დღემდე ყოველგვარი საშუალებით უნერგავენ იმ აზრს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა დროებითი მოვლენაა და რომ ოდერ-ნოისეს საზღვარი ბონის საგარეო პოლიტიკის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია.

ამავე დროს, განაგრძობს „ფულდაერ ფოლკსციტუნგი“, ბონში არ უფიერდებიან იმას, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი ხუთ სოციალისტურ ქვეყანასთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ დადებულია არა ერთი და არა ორი წლით და რომ დასავლეთ ევროპის არც ერთი საოდ მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწე არ დაუჭერს მხარს ბონის მმართველთა მოთხოვნებს ოდერ-ნოისეს საზღვრის გადასინჯვის შესახებ.

### თათბიროზენ მინისტრები

**ბრიუსელი.** 12 დეკემბერი (საკდესი). გუშინ აქ კობგრესთა სასახლეში გაიხსნა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს ევროპის გაერთიანებათა კომისიის ზეპირი მოხსენება იმ ფინანსურ და ეკონომიურ ღონისძიებათა შედეგების შესახებ, რომლებიც ამას წინათ განახორციელა ინგლისმა, მათ შორის გირვანქა სტერლინგის დევალვაციის შესახებ.

ამ სესიაზე განიხილავენ აგრეთვე საკითხს „საერთო ბაზრისა“ და ისრაელის ურთიერთობის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელი დიდი ხანია ცდილობს ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან მიაღწიოს შეთანხმებას ასოციაციის შესახებ (ახლა ისრაელი „ექსეულთან“ მხოლოდ სავაჭრო შეთანხმებით არის დაკავშირებული). მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტას ეწინააღმდეგება საფრანგეთი, უთანხმოებანია „საერთო ბაზართან“ ისრაელის ასოციაციის ფორმის გამო ევროპის ეკონომიური გაერთიანების სხვა მონაწილეებს შორისაც.

### ყოველი ოცდამეათე დანაშაულის მსხვერპლია

**ვაშინგტონი,** 12 დეკემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების დედაქალაქი საკმაოდ ხაშიში ხდება საცხოვრებლად. დამნაშავეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რომლებიც იუსტიციის სამინისტრომ და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მოამზადეს, მიმდინარე წლის პირველ ცხრა თვეში დანაშაულთა რიცხვი ვაშინგტონში 25,8 პროცენტით გაიზარდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

გამოძიების ფედერალური ბიურო იუწყება, რომ 1967 წლის იანვარ-სექტემბერში ამერიკის დედაქალაქში ჩადენილია 28.033 სერიოზული დანაშაული, ესე იგი ოცდაექვსი თითქმის 100 დიდი დანაშაული ქალაქში, რომლის მოსახლეობა 1 მილიონამდეა.


**ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ**

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 13 დეკემბერი, 1967 წ.


## ᲤᲝᲢᲝᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ





**ᲒᲕᲘᲜᲘᲐ.** აფრიკის ამ ქვეყანაში, ისევე როგორც მთელ კონტინენტზე, ერთმანეთს ერწყმის თანამედროვეობა და წარსული. ბეტონისა და შუშისაგან ნაგები შენობების გვერდით ხშირად ნახავთ ჭოხმბიებს. ქალაქი კონაკრი. (ზემოთ მარცხნივ) მეგადურები თევზის ბერის შემდეგ უკან ბრუნდებიან.

**ᲥᲐᲚᲐᲥᲘ** მეხიკოს ქუჩებში ზოგჯერ ასეთ სურათსაც წაიწყდებით (ზემოთ მარჯვნივ) მითუმეტეს, როცა პოლიცია ამგვარ დარღვევებზე თვალს ხუჭავს. სურათზეც ასეა: როცა მანქანაში ყველა ადგილი დაკავებულია, ასეც შეიძლება მგზავრობა.

**ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ** წლის ვარლინგტონელმა ინგლისელმა ლესლი სმიტმა (მარცხნივ) შექმნა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავი ველოსიპედის საფუძველზე. ამ თვითმფრინავ-ველოსიპედის პროპელერი მოძრაობაში მოდის ნელონის თოკების მეშვეობით. რეკორდი რომ დაამყაროს, გაბედულმა კონსტრუქტორმა თავისი აპარატით ათას ექვსასი მეტრი უნდა გაიფრინოს სამ მეტრ სიმაღლეზე. აფრენის პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ლესლი სმიტი ოპტიმისტურად არის განწყობილი. მას არ დაუკარგავს იმედი.

**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ** მოდების მოყვარულები ყველგან არიან. მაგრამ მათ მდიდარ ფანტაზიას სრული „თავისუფლება“ მაინც დასავლეთში აქვს. აქ ეწყობა ათასგვარი კონკურსები და გამოფენები ქალთათვის. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია ეს ფოტოც. მართლაც რომ არა აქვს საზღვარი იმათ მდიდარ ფანტაზიას, ვინც ეს „ჭუდი-შანქანა“ შექმნა ბუმბულებისაგან (მარჯვნივ). ავტორებს მხოლოდ ერთი აინტერესებთ: ორიგინალური იყოს და პირველი პრიზი მოიპოვონ ქუდების ყოველწლიურ ფესტივალზე, რომელიც ლონდონში იმართება.

## საყურადღებო ნაშრომი

**ᲩᲕᲔᲜᲘ** ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ბიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფას და მისი მეცნიერული დონის ამაღლებას.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სრულყოფაში გადამწყვეტი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპებისა და პროპორციების სწორად განსაზღვრას. საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპები და პროპორციები უნდა უზრუნველყოფდეს ეროვნული შემოსავლის განუწყვეტელ ზრდას. ამიტომ ამჟამად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული საკითხების შესწავლასა და დამუშავებას.

ამ რამდენიმე თვის წინათ გამოვიდა პროფესორ **ი. მიქელაძის** ნაშრომი. „**საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპები და პროპორციები**“. აღნიშნული ნაშრომი მიძღვნილია საქართველოს ეკონომიკის ძირითადი დარგების განვითარების ტემპებისა და სახალხო მეურნეობის პროპორციების შესწავლისა და ანალიზისადმი როგორც საანგარიშო, ისე საგეგმო პერიოდში. ავტორი ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საანგარიშო ბალანსს, კერძოდ, მის ისეთ ნაწილებს, როგორიც არის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი და ეროვნული შემოსავლის ბალანსი, შრომითი და მატერიალური რესურსების ბალანსები და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები.

ნაშრომში განხილულია სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმების დადგენილებებიდან გამომდინარე ის ამოცანები, რომლებიც ნაკარნახევია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლების, დაგეგმვის სრულყოფისა და ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისათვის.

პროფესორი ი. მიქელაძე სარეცენზიო ნ

# ᲦᲕᲐᲤᲚᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

### ᲤᲘᲖᲘᲙᲐ-ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ Გ. ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ გეოფიზიკამ, რომელსაც ფესვები ჩვენი ხალხის შორეულ ისტორიულ წარსულში აქვს, უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იწრაფი განვითარების გზა განვლო. ეს ქართველი მეცნიერების იმ თაობის დამსახურებაა, რომელმაც უფროსი ასაკის მეცნიერებთან ერთად, მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ითავა საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების საქმე და დღევანდელ მდგომარეობამდე მოიყვანა იგი.

ქართველ მეცნიერთა ამ პლეადას ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმომეტრიული განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა გეოფიზიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გური კალისტრატეს-ძე თვალთვაძე, რომელსაც დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავი შეუსრულდა.

გ. თვალთვაძე დაიბადა 1907 წელს ს. წალენჯიხაში. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, ხოლო 1925 წელს ქ. თბილისში წარჩინებით დაამთავრა ქიმიური ტექნიკუმი. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობით დაამთავრა 1930 წელს.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გ. თვალთვაძემ მუშაობა დაიწყო თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მაგნიტური და სეისმური დაკვირვებების დარგში, ხოლო 1933 წელს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილების აშლად ჩამოყალიბებული გეოფიზიკური ინსტიტუტის მიერ მიწვეულებულ იქნა ქ. ლენინგრადში, მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და 1936 წლის ივლისში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ძიების სეისმური მეთოდის გამოყენება ვერტიკალურად მდებარე გამყოფი ზედაპირების მქონე შრეების ზოგიერთი შემთხვევებისათვის“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გ. თვალთვაძე გეოფიზიკურ ინსტიტუტში სათავეში ჩაუდგა გეოფიზიკური ძიების ერთ-ერთ ძირითად დარგს — სეისმურ ძიებას და ამგვარად სავსებით სამართლიანად ითვლება გეოფიზიკური მეცნიერების ამ დარგის საფუძვლის ჩამყრელად ჩვენს რესპუბლიკაში.

ძიების სეისმური მეთოდი დამყარებულია დედამიწის ქერქში დრეკადი ტალღების გავლის სიჩქარეების დაკვირვებებზე. ცნობილია, რომ მიწის ქერქის რომელიმე წერტილში წარმოშობილი დრეკადი ტალღები (მაგალითად, მიწისძვრის ან ფეთქებადი ნივთიერების აფეთქების შედეგად) მიწის ქერქის და მის ქვეშ მდებარე ეგრეთწოდებული მანტიის სხვადასხვა ფენებში ვრცელდებიან სხვადასხვა სიჩქარით, რაც დამოკიდებულია იმ ქანების შემადგენლობაზე, რომლებსაც ისინი გაიბრენენ. ამ გზით სეისმოძიების საშუალებით შესაძლებელი ხდება მიწის ქერქის და მის ქვეშ მდებარე ფენების მდებარეობის და სისქეების განსაზღვრა. ჯერ კიდევ 1936-1937 წლებში გ. თვალთვაძე ასეთ დაკვირვებებს აწარმოებდა ბითურის მარგანეცის საბადოზე, სუფსა-ომფარეთში და სამხრეთ კახეთში ნავთობიანი სტრუქტურების აღმოჩენის მიზნით.

შემდგომ წლებში მეცნიერი მუშაობს საქართველოს ტერიტორიაზე მიწის ქერქის აგებულების პრობლემაზე მძლავრი აფეთქებების მიერ გამოწვეულ სეისმურ ტალღებზე დაკვირვების საშუალებით. ამ გზით მან განსაზღვრა საქართველოს ტერიტორიაზე მიწის ქერქის ძირითადი ფენების სიმძლავრეები და ჩაზოლის სიღრმეები. ამ სამუშაოების ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის მრავალ უბნებზე (გორი-მუზარანის დეპრესია, კოლხიდის დაბლობი, ახალქალაქის ზეგანი, შირაქი და ალაზნის ველი, რუსთავის მიდამოები და სხვ.). დანალექი წყებების სისქეების კვლევა და მათი გეოლოგიური აგებულების დადგენა, რასაც გ. თვალთვაძე 1950 წლიდან აწარმოებს, ამ კვლევის შედეგებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ისინი საფუძვლად დაედო საქართველოს ტერიტორიის სიღრმითი გეოლოგიის სქემატური რუკების აგებას ე. წ. კრისტალური ფუნდამენტის ზედაპირამდე და ამ ზედაპირის მორფოლოგიის კვლევას, ხოლო ეს შედეგები წარმოადგენს საფუძველს საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის და გაზის შემცველი სტრუქტურების ძებნა-ძიების საქმეში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თუ ჩვენ ამჟამად ცოტად თუ ბევრად გარკვეული წარმოდგენა გვაქვს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეების გეოლოგიურ აგებულებაზე, სადაც გეოლოგია ვერ სწვდება, ეს მნიშვნელოვანწილად გ. თვალთვაძის და მისი მოწაფეების დამსახურებაა.

გ. თვალთვაძის მიერ დამუშავებულია მიწის ქერქის მრავალფენოვანი სტრუქტურების თეორიული მოდელირების აგების ახალი მეთოდი, აგრეთვე მიწის ქერქის აგებულების შესწავლის მეთოდი ადგილობრივ მიწისძვრებზე დაკვირვების საშუალებით. ამ მეთოდით განსაზღვრულ იქნა მიწის ქერქის აგებულება საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა უბნებზე. ეს შრომები და მრავალი წლის კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო გ. თვალთვაძის ნაშრომს „მიწის ქერქის აგებულება საქართველოში და თეორიული მოდელირების სისტემის აგება“, რომელიც მან ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმატებით დაიცვა 1961 წელს.

გ. თვალთვაძე 70-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის ავტორია. მისი მრავალი ნაშრომი ჩვენი ქვეყნის გარდა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის სამეცნიერო გამოცემებში.

დიდია გ. თვალთვაძის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. ის წლების განმავლობაში სათავეში ედგა ფიზიკის კათედრას საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მის მიერ აღზრდილია მრავალი ასპირანტი და მეცნიერი მუშაკი, რომლებიც ამჟამად წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის წამყვან სამეცნიერო და საწარმოო დაწესებულებებში და ემსახურებიან საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოვლინების დიდ საქმეს.

გ. თვალთვაძის მოღვაწეობა დირსეულად დაფასა საბჭოთა მთავრობამ. 1951 წელს დიდი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

ღვაწლმოსილ მეცნიერს და პედაგოგს, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს გ. თვალთვაძეს ვუსურვოთ ჯანმრთელობა და შემდგომი წარმატებანი.

**ა. ᲑᲣᲖᲜᲘᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი.



ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ. ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

## Ლ. Შ. ᲛᲐᲜᲐ�გᲐᲫᲔ



ᲛᲫᲘᲛᲔ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ, ᲛᲬᲧᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ, ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲡᲝᲤᲠᲝᲛᲘᲡ-ᲫᲔ **ᲛᲐᲜᲐ�გᲐᲫᲔ.**

Ლ. მანაგაძე დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ ლეხიდრისთავში 1895 წელს. რევოლუციურ მოძრაობაში სრულიად ახალგაზრდა ჩაება, აქტიური მონაწილეობა მიიღო ლეჩხუმის მაზრის გლეხთა განთავლებში. როგორც წითელი პარტიზანი იარაღით ხელში იბრძოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ 1918-1921 წლებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძალ-ღონეს არ ზოგავდა ლეჩხუმის სოფლებში კოლმეურნეობების შექმნისა და მათი განმტკიცებისათვის. 1930 წლიდან 1943 წლამდე იყო ჯერ ზოგიშის, შემდეგ გელათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. 1943 წელს საცხოვრებლად გადმოდის ბოლნისის რაიონში და მუშაობას თწყიბს დაბა ბოლნისის კოლმეურნეობაში, შემდეგ საბჭოთა მეურნეობაში. 1965 წლიდან კი პერსონალური პენსიონერია.

ლ. მანაგაძე ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. თამამაქის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მას 1949 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური წოდება. დაჯილდოებული იყო ორ ორდენით „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“.

კომუნისტის, სახელოვანი მშრომელის, გულისხმიერი და თავმდაბალი ადამიანის ლ. მანაგაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

**ᲐᲛᲮᲚᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ**

## ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲔᲒᲚᲘ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲨᲘ

**ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ.** (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, ფართოეკრანიან კინოთეატრ „ᲨᲝᲠᲐᲜᲘᲡ“ წინ დაიდგა გენიალური ქართველი პოეტისა და მოზაროვნის შოთა რუსთაველის ძეგლი (ძეგლის ავტორია მოქანდაკე ტ. სახარულიძე, კვარცხლბეკისა — არქიტექტორი დ. შინდაგორიძე).

პოეტის ქანდაკება გამოკვეთილია თეთრი მარმარილოსაგან და დადგმულია კუთხების გრანიტის ქვის კვარცხლბეკზე.

## ᲨᲘᲜᲛᲝᲣᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲝᲒᲔᲚᲘᲡᲙᲘ

**ᲧᲐᲚᲐᲥᲗᲣᲠᲘ.** (საკ. კორ.). სოფელ ოფშკვითიდან 400-ზე მეტი ვაჟკაცი წავიდა დიდ სამამულო ომში მათგან 178 გმირულად დაეცა, მაგრამ მათი სიცოცხლე კვლავ გრძელდება — თანამოფლეელები უკვდავყოფენ მათს სსოვნას. ამ დღეებში სოფლის ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა შინმოუსვლელთა დიდებული ობელისკი.

## ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲣᲨᲔᲗᲣᲠᲘ ᲮᲐᲚᲘᲩᲔᲑᲘ

**ᲓᲣᲨᲔᲗᲘ.** (საკ. კორ.). სახელი გაითქვა ხალიჩების საქსოვმა საამქრომ (საამქროს უფროსი ნ. დათოშვილი), რომელმაც მზა პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა ერთი თვით ადრე შეასრულა და 430 კვადრატული მეტრის ნაცვლად მოქსოვა 461 კვადრატული მეტრი ხალიჩა.

შარშან საამქროს კოლექტივმა 112 კვადრატული მეტრით მეტი ხალიჩა გამოუშვა, ვიდრე ამას წლიური გეგმა ითვალისწინებდა. ახლა კი საამქროს მუშებს გადაწყვეტილი აქვთ მზა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის გაანაღდონ.

## ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

**ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ.** (საკ. კორ.). სოფელ კოხნარიაზე კულტურის სახლი (დირექტორი ც. კეშელავა) მშრომელთა დასვენებისა და კულტურული ცხოვრების საყვარელ ადგილს წარმოადგენს. ამ დღეებში აქ გაიმართა საღამო, რომელიც მოაწყო სამუაღლო სკოლამ და კულტურის სახლმა. წაკითხულ იქნა ლექციები, აგრეთვე ინსცენირებულ იქნა მ. ლებანიძის „ბალადა პატარა წითელფლოტელზე“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ

## ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

**ᲮᲐᲠᲐᲒᲝᲨᲘ** გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ეაფთა შორის. უკვე გაიმართა სამი ტური. თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდეს გროსმაისტერებმა, პირველ რიგში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **ტალმა, პოლუგაევსკიმ, ხოლმოვმა** და **ვასიუკოვმა,** მაგრამ მათ არც ლიტვის ჩემპიონი **ბუტნორისი** ჩაბარჩენია.

მესამე ტურში **ტალმა** კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად ლენინგრადელ **ბუზმანთან** შეხვედრაში **და** სამი ქულა აქვს, ამდენივე ქულა შეაგროვა ავრეთვე **ბუტნორისმა.** გროსმაისტერების **პოლუგაევსკისა** და **ვასიუკოვის** შეხვედრა მესაბე ტურში ყაბით დამთავრდა.

სამი ტურის შემდეგ ლიდერები არიან **ტალი** და **ბუტნორისი. პოლუგაევსკის, ხოლმოვსა** და **ვასიუკოვს** ორნახევარ-ორნახევარი ქულა აქვთ.

## ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ

**ᲩᲕᲔᲜᲘ** ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის ვაფთა 12 კოლექტივის ასპარეზობა კალათბურთში. ეს გახლავთ საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. შეჯიბრება ახალი სისტემით ტარდება — გუნდები ერთმანეთს ოთხ-ოთხჯერ უნდა შეხვდნენ.

12 დეკემბრამდე მდგომარეობა ასეთია: დაწინაურდნენ არმიელი კალათბურთელთა კოლექტივები. სატურნირო ცხრილის სათავეში დგას კიევის სკა, რომელმაც ოთხი შეხვედრიდან ოთხივე მოიგო და ოთხი ქულა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდის რამდენიმე მოთამაშე გაწვეულია სსრ კავშირის ნაკრებში, ეს კოლექტივი 4 ქულით (ექვსიდან) მეორე ადგილს ინარჩუნებს.

სამ გუნდს სამ-სამი ქულა აქვს. ესენი არიან — კიევის „სტროიტელი“, თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის „სპარტაკი“. „სტროიტელს“ ჩატარებული აქვს 5 თამაში, თბილისის „დინამოს“ — ოთხი მატჩი, ლენინგრადის „სპარტაკს“ — ექვსი შეხვედრა. სამ გუნდს — კაუნასის „ჟალგირისს“, ტარტუს „კალევსა“ და რიგის ვეფ-ს ორ-ორი ქულა აქვთ, თბილისის „ბურევესტნიკსა“ და რიგის სკა-ს — თითო ქულა. ბაკოს „ბურევესტნიკსა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშს“ არც ერთი ქულა არა აქვთ. პირველმა სამი თამაშიდან სამივე წააგო, მეორემ ექვსიდან — ექვსივე.

## ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲥᲕᲐᲚᲓᲐᲙᲕᲐᲚ

სოჩში მიმდინარეობს საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში ქალთა შორის. აქ გამთამაშდა სამი ტური. სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება ოთხი მოჭადრაკე; ესენი არიან — ტალინელი საურთაშორისო ოსტატი მ. რანნიკუ, ლენინგრადელი პირველთანრიგოსანი ი. დანილოვა, კრასნოიარსკელი ლ. ნიკიტინა და ლვოველი ი. როზენცვაიდი. მათ პირველ სამ ტურში ყველა შეხვედრა მოიგეს და სამ-სამი ქულა აქვთ.

ჩვენი რესპუბლიკიდან ჩემპიონატზე შვიდი მოჭადრაკე გამოდის. მათ შორის ყველაზე უკეთესი შედეგი მოეპოვება ᲒᲘ. ᲙᲐᲑᲐᲮᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, რომელიც ლიდერთა ოთხეულს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება. პირველ ტურში ᲒᲘ. ᲙᲐᲑᲐᲮᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛ დაამარცხა Ჯ. ᲡᲐᲡᲮᲐᲠᲘᲜᲘᲜᲘ (ერევანი), მეორე ტურში ყაიმს დასჯერდა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელთან Ჯ. ᲡᲙᲘᲑᲘᲜᲡᲘᲜᲗᲐᲜ შეხვედრაში, მესამე ტურში კი მოუგო ნ. ᲨᲣᲜᲘᲜᲘᲡᲘᲗᲡ (მოსკოვი).

## ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** „კრილია სოვეტოვის“ სპორტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს უძლიერესი გუნდები მხატვრულ ტანვარჯიშში — სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდები. სამი სახეობის შემდეგ პირველი ორი ადგილი გაიყვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ლ. სერედამ და ე. კარპუზინამ.

● ᲑᲣᲨᲘᲜ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. კაუნასის „ჟალგირისმა“ მძაფრ ბრძოლაში დამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ 72:70, რიგის ვეფ-მა მოუგო ტარტუს „კალევს“ 58:55.

## ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

**ᲙᲐᲚᲐᲩᲘ** ვალდივიაში (ჩილე) საავტომობილო რბოლის დროს მოხდა კატასტროფა, რის შედეგადაც დაიხოცა და დაშავდა 12 კაცი. ტრაგიკული ინციდენტი იმ მომენტში მოხდა, როცა მრბოლ ერნან ლაჩანოს მანქანამ, გაიარა რა ფინიში, საჭეს აღარ დაემორჩილა და მაყურებლებში შეიჭრა, რომლებიც გზის აქეთ-იქით შეგროვილიყვნენ. დაშავებულთა ნაწილი დაღუპვის პირასაა.

ეს ტრაგიკული შედეგი თითქმის კანონზომიერია პროფესიონალური ავტომრბოლებისათვის.

(საკადესი).

## ᲑᲝᲚᲝ ᲡᲕᲔᲢᲧᲐ

## ᲪᲘᲪᲪᲚᲘᲡ ᲕᲣᲚᲙᲐᲜᲘ ᲓᲐᲕᲬᲠᲩᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲓᲐᲜ თერგის ქედის განშტოებებში ხანძარი მძვინვარებდა ერთ-ერთ ჭაბურღილზე. 10 დეკემბერს ხანძარი ჩააქრეს ტექნიკით შეიარაღებულმა ადამიანებმა.

ეს ასე მოხდა. ჩეჩნეთ-ინგუშეთში ბურღავდნენ ხაზვერ ჭაბურღილს. უცბად ნავთობის გაზიანმა მძლავრმა შადრევანმა ამოხეთქა. შემთხვევითი ნაპერწკლისაგან ცეცხლმა იფეთქა.

მბურღავთა დასახმარებლად მოვიდნენ სახანძრო რაზმები, მექანიზატორები, მემონტაჟეები, სამთო-მაშველი რაზმი. შეეცადნენ ალი ჩაექრო წყლის მასირებული ჭავლით, მაგრამ უშედეგოდ... ვერც მიმართული ავფეთქების ტალღით გაანეიტრა რამე. მაწინ გადაწყვიტეს გამოეყენებინათ სპეციალური მანქანები-ავტომობილებზე დადგმული ტუბორეაქტიული დანადგარები.

როდესაც ცეცხლი საბოლოოდ დაიმორჩილეს, დაიწყო მრისხანე სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ეტაპი: თვით შადრევნის დამორჩილება. ეს შეძლეს მეტად საშიშ პირობებში. მათ საიმედოდ დაუცეს პირი ჭაბურღილს და ნავთობი მილებში გაუშვეს. (საკადეი).



# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

**ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ,** რომ დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სტუდენტთა საგამოცდო ლაბორატორიული შეკრებები 1967-68 სასწავლო წელს მოეწყობა შემდეგი განრიგით:

**I ᲜᲐᲙᲐᲓᲘ.** აგრონომია და მექანიზაციის სპეციალობები 1968 წლის 2 იანვრიდან.

**II ᲜᲐᲙᲐᲓᲘ.** მცენარეთა დაცვა, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა, მეადრეშუმეობა, სატყეო-საინჟინრო საქმე და სატყეო-სამეურნეო სპეციალობები 1968 წ. 12 თებერვლიდან.

**III ᲜᲐᲙᲐᲓᲘ.** მეხილეობა-მებოსტნეობა და მევენახეობა, მეღვინეობის ტექნოლოგია და ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიის სპეციალობები 1968 წ. 25 მარტიდან.

**IV ᲜᲐᲙᲐᲓᲘ.** საბუხალტრო აღრიცხვა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაციის სპეციალობები 1968 წლის 6 მაისიდან.

**II ᲙᲣᲠᲡᲘ** (1967 წ. იანვრის თვის მიღება) შეკრების ხანგრძლივობა განისაზღვრება 35 კალენდარული დღით, აქედან 15 დღე ეთმობა საგამოცდო სესიებს, ხოლო მომდევნო 20 დღე-სალექციო ლაბორატორიულ შეკრებას (მათთვის განკუთვნილ „სამახსოვრო“ სასწავლო პროცესის გრაფიკის შეხუთე პუნქტში მოცემული თარიღები გაიქმებული). მაღალ კურსებზე ჩატარდება სალექციო-ლაბორატორიული სესია და განსაზღვრული 40 კალენდარული დღით.

შეკრებაზე გაეძახებული სტუდენტები ვალდებული არიან გამოცხადდნენ დეკანატში შეკრების დაწყების დღეს რეგისტრაციაში გასატარებლად. ამისათვის თან უნდა იქონიონ სტუდენტის ბილეთი, დამოწმებული გამოძახების ფურცელი, ცნობა და სრული დახასიათება სამუშაო ადგილიდან. აღნიშნული საბუთების წარუდგენლად სტუდენტი შეკრებაზე არ დაიშვება.

გამოძახების ფურცელი სამსახურის ადგილზე წარსადგენად და დამატებითი შეგებულების მისაღებად ფოტოტიპი არ გადიზავნება. სტუდენტები ვალდებული არიან მიიღონ ის პირადად, დეკანატში მატრიკულის ჩაბარებისას.

გამოცდების და ჩათვლების ჩასაბარებლად (იმეორე როგორც სალექციო-ლაბორატორიულ შეკრებაზე) გამოცხადებისას სტუდენტებს ეკუთვნათ სამუშაო ადგილიდან წარმოადგენონ დახასიათება და ცნობა, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის შრომითს საქმიანობას; გასული შეკრების დამთავრებიდან ცნობის გაგზავნის მომენტამდე და აუცილებლად უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემებს, რომლებიც დადგენილია შეკრებაზე წარმოსადგენი ცნობა-დახასიათებისათვის.

**რექტორატი მოაგონებს იმ სტუდენტებს, რომლებიც ამჟამად ირიცხებიან II და მომდევნო კურსებზე, რომ საგამოცდო სესიები მთავრდება 2 კვირით ადრე შეკრების დაწყებამდე.**

ყველა სტუდენტი ვალდებულია სესიების დამთავრებამდე ჩააბაროს დეკანატს მატრიკული, მიუხედავად იმისა, შესრულებული იქნება თუ არა სასწავლო გეგმა.

თუ სტუდენტი რაიმე მიზეზით ვერ ცხადდება ინსტიტუტში, მატრიკული შეიძლება გამოგზავნილ იქნას ფოსტით — ფასიანი წერილით იმ ვარაუდით, რომ იგი მიღებულ იქნება საგამოცდო სესიების დამთავრებამდე.

ხანგრძლივი ავადმყოფობის, ხანგრძლივი მივლინების და სწავლაში ხელშეშლილი მიზეზების შესახებ სტუდენტმა დაზღვეული წერილით დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დეკანატს, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს სათანადო საბუთები.

**იმ პირებს, რომელთაც 1965-67 წ.წ. დაამთავრეს თეორიული სწავლების სრული კურსი, მაგრამ არ ჩაუბარებიათ ან ვერ ჩაბარეს სახელმწიფო გამოცდები (ვერ დაიცვეს სადიპლომო პროექტები), მუშაობენ სასწავლებლად არჩეული პროფილით და მოქმედი დებულებით უფლება აქვთ ჩაბარონ სახელმწიფო გამოცდები (დაიცვან სადიპლომო შრომები) 1968 წელს, შეუძლიათ ამის თაობაზე მიმართონ ინსტიტუტს ა. წ. 15 დეკემბრამდე.** განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ცნობა და სრული დახასიათება სამუშაო ადგილიდან.

თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის დადგენილებისა, სწავლის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით წარმოების და დაწესებულებების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები გაათავისუფლონ საღამოს საათებში მუშაობისაგან, დროულად მისცენ სასწავლო შეებულება, გამოიყონ ადგილი საწარმოო პრაქტიკის გასავლელად და ნება დართონ გადაეიდნენ სამუშაოდ სპეციალობის მიხედვით.

**რექტორატი სთხოვს საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაუსწრებელი სწავლების განყოფილების სტუდენტთა სხვა სამუშაოზე გადაყვანის ან სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევაში (მიზეზის აღნიშვნით) დაუუყოვნებლივ აცნობონ ინსტიტუტს.**





**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲜᲐᲒᲛᲝᲛᲐᲠᲐᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ**

**ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ:**

**I ᲙᲣᲠᲡᲘ.** ექსპერიმენტული განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერი მუშაკი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — **1 ერთეული.** 2. ექსპერიმენტული განყოფილების ექიმი — **1 ერთეული.** 3. ფიზიოთერაპიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — **1 ერთეული.** 4. თერაპიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი — **1 ერთეული.** 5. ნეიროლოგიური განყოფილების ექიმი-ორდინატორი — **1 ერთეული.** 6. პედიატრიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი — **1 ერთეული.** 7. ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგე — ექიმი — **1 ერთეული.** 8. ბიოქიმიკოსი — ექიმი ლაბორანტი — **1 ერთეული.** 9. კლინიკა-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმი-ლაბორანტი — **1 ერთეული.**

იმ პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, უნდა წარადგინონ დირექციაში შემდეგი საბუთები: განცხადება, კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის დამტკიცების მოწმობა, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან.

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** ᲧᲐᲚᲐᲥᲗᲣᲠᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 1.

**კონკურსის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲗᲔᲠᲐ�პᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ**

**ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ** კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

1. ექსპერიმენტული განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერი მუშაკი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — **1 ერთეული.** 2. ექსპერიმენტული განყოფილების ექიმი — **1 ერთეული.** 3. ფიზიოთერაპიული განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — **1 ერთეული.** 4. თერაპიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი — **1 ერთეული.** 5. ნეიროლოგიური განყოფილების ექიმი-ორდინატორი — **1 ერთეული.** 6. პედიატრიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი — **1 ერთეული.** 7. ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგე — ექიმი — **1 ერთეული.** 8. ბიოქიმიკოსი — ექიმი ლაბორანტი — **1 ერთეული.** 9. კლინიკა-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმი-ლაბორანტი — **1 ერთეული.**

იმ პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, უნდა წარადგინონ დირექციაში შემდეგი საბუთები: განცხადება, კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის დამტკიცების მოწმობა, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან.

**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:** ᲧᲐᲚᲐᲥᲗᲣᲠᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 1.

**კონკურსის ვად